№ 06Z4-0902199 D 25.01.2024

შპს ბლექსი თბილისი დირექტორს
ბატონ ერეკლე იოსებაშვილს
ელ-ფოსტა: devdariani.96@gmail.com
ტელეფონი: 514007300

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრაციის #IN24-0897552; თარიღი 15/01/2024წ). რომლითაც მოთხოვნილია ქ. თბილისში, მახათას აღმართი N29 (ოფისი) (ს/კ 81.21.04.401) მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი პროექტი შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან, იმ პირობით, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელების მიმართ დაცული იქნება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი მოთხოვნები.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ „კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ „კომპანიის“ წარმომადგენელს: გლდანი-ნაძალადევის საოპერაციო ცენტრის მენეჯერი თორნიკე ჟღენტი. ტელ: 591 10 15 13.

დანართი: საპროექტო დოკუმენტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ი.გ.ს

ივანე გაბიტაშვილი
წყალსადენის ქსელების დირექტორის მოადგილე/
საოპერაციო ცენტრების დეპარტამენტის უფროსი

შემსრულებელი: მ. ლოლაძე; ჯ. ჩაჩხალია
ტელეფონი: 293 11 11 (51 13); (11 27)



ტელ: 591 44 55 05 ს/ნ 443122256
ელ. ფოსტა: info.deinraum@gmail.com

ექსპლიკაცია:

შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
საოპერაციო ცენტრი №2
შეთანხმებულია
ხელმძღვანელი
"18" 01 2023 წ
რეგ.№
სამუშაოების დაწყების წინ გამოძახებულ იქნას GWP-ს წარმომადგენელი
ტელ: 032 2 93 11 11

პროექტის დასახელება:

კომერციული შენობა-ნაგებობა

პროექტის მისამართი:

[illegible]

დამკვეთი	[illegible]

თანამდებობა	სახელი გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ნ. ლონდარიძე	
მთ. არქიტექტორი	ი. ფედფარიანი	
პრ. ავტორი	ი. ფედფარიანი	
კონსტრუქტორი	ა. ნაგზალაძე	
შემსრულებელი	ი. ფედფარიანი	

ნახაზის დასახელება:
გენერალური გეგმა

ფურცელი	ინდექსი	მასშტაბი
A3	502	1:160

შესრულების თარიღი
18/01/2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **01233423661**
თარიღი: **08/12/2023**

ადრესატი: ირაკლი დევდარიანი
პირადი ნომერი: 52001024541
მისამართი: წალკა თამარ მეფის ქ. N 41

განცხადების ნომერი: 0123328848-67
განცხადების თარიღი: 24/11/2023

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :81.21.04.401
- მისამართი :ქალაქი თბილისი , ხეხილსანერგე მეურნეობა

განმცხადებელი-დამგვეთი :ირაკლი დევდარიანი
პირადი ნომერი :52001024541
მისამართი :წალკა თამარ მეფის ქ. N 41

ნომენკლატურა :სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა /

თქვენი განცხადების შესაბამისად, გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დასკვნასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებას

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბრძანება:**ბ01. 012334244**

თარიღი:**08/12/2023**

ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N81.21.04.401) ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2, მე-9 და მე-13 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N0123328848-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.21.04.401) კომერციული დანიშნულების შენობა-ნაგებობის განთავსებისთის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N0123328848-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01233422**
თარიღი: **08/12/2023**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	0123328848-67
განცხადების თარიღი:	24/11/2023
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	81.21.04.401
მისამართი :	ქალაქი თბილისი , ხეხილსანერგე მეურნეობა
მესაკუთრეები :	შპს "ბლექსი თბილისი",
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	ირაკლი დევდარიანი
პირადი ნომერი :	52001024541
მისამართი :	წალკა თამარ მეფის ქ. N 41
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	ირაკლი დევდარიანი
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	საზოგადოებრივი საქმიანი ზონა - 2 (სსზ-2)
კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი :	500.0
მოთხოვნის შინაარსი :	
	გთხოვთ დაგვიდგინოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. იგეგმება

მოთხოვნის ტექსტი :	კომერციული ტიპის შენობის მშენებლობა. მოგახსნებთ რომ 01232782579-67 განაცხადი დაგვრჩა განუხილველი ვინაიდან დროულად ვერ მოვახერხეთ ნმინდობილობის ატვირთვა
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში (ს/კ/კ 81.21.04.401) მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 750 კვადრატულ მეტრს, მდებარეობს სწორ რელიეფზე, მიწის ნაკვეთს ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება ნ. ხუდადოვის ქუჩა, აღმოსავლეთიდან ნ. აგიაშვილის ქუჩა, დასავლეთ და სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება მომიჯნავე მიწის ნაკვეთები. ფუნქციური ზონირებით ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი (სსზ) და საცხოვრებელი ზონა 2 (სზ2). ტერიტორიაზე იგიგმება ერთსართულიანი კომერციული ფართის მაღაზიის მშენებლობა. მიწის ნაკვეთზე მსგავსი ფუნქციის შენობის გაჩენა მისაღებად მიგვაჩნია აღნიშნული ნაკვეთის კონფიგურაციისა და მისი საზოგადოებრივ სივრცესთან აქტიური კავშირის გამო. შენობის სავარაუდი ფართობი იქნება 450 კვადრატული მეტრი.
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	კომერციული ობიექტი
	საკითხის ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინა, რომ: საპროექტო მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N81.21.04.401 (ფართობი 750.0 კვ.მ.)) დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, მდებარეობს ზოგად საზოგადოებრივ-საქმიან ზონაში (სსზ) და საცხოვრებელ ზონა 2 (სზ-2)-ში. მცირე ნაწილზე ასევე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ზოგადი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ) მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საქმიანი, კომერციული და სხვა საზოგადოებრივი გამოყენების ტერიტორიებს; კონკრეტული ქვეზონის პარამეტრების მინიჭება ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-19 მუხლით განსაზღვრული კვლევის ან ქალაქთმშენებლობითი კადასტრის საფუძველზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, მიმდებარე ტერიტორიისა და განაშენიანების გათვალისწინებით შესაძლებელად მიაჩნია ზოგადი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის დაზუსტება განხორციელდეს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის პარამეტრებით და პირობებით. ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, თუ მიწის ნაკვეთი ხვდება ერთზე მეტი კონკრეტული ფუნქციური ზონის მოქმედების არეალში, მაშინ მისი სამშენებლოდ განვითარების განსაზღვრისას არც ერთი ზონის მოთხოვნა არ უნდა დაირღვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთი ზონის ფართობი შეადგენს არანაკლებ მიწის ნაკვეთის ¾-ს, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ამ ზონისთვის განსაზღვრული მოთხოვნები, რზ-1-ის რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით. ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთზე გავრცელებული არც ერთი ზონა არ შეადგენს არანაკლებ მიწის ნაკვეთის 3/4-ს, მისი სამშენებლო განვითარებისას დაცულ უნდა იქნეს ყველა ფუნქციური ზონის რეგლამენტი. საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3) წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვან საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი პზ-ში) არსებულ/ დაგეგმილ კომერციული გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობებია: სავაჭრო ცენტრები, მოლები და მსგავსი მსხვილი საზოგადოებრივ-კომერციული ობიექტები, ასევე საოფისე შენობა-ნაგებობები. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი დასაშვებია რესტორნის, საკულტო შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტის, ავტოგასამართი კომპლექსის, ავტოგასამართი და აირგასამართი სადგურების განთავსება; ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1=0.7; მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2=---; მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3=0.2; მინიმალური ფართობი 500 კვ.მ; მინიმალური სიგანე: 20 მეტრი;

გადაწყვეტილების დასაბუთება :	მინიმალური სიღრმე: 20 მეტრი; შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე: 15 მეტრი; საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვან საცხოვრებელი ქვეზონას და რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2)-ში დადგენილია ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ-1=0.5 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2= 0.8 მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი კ-3=0.3 მინიმალური ფართობი 250 კვ.მ მინიმალური სიგანე 9 მ. მინიმალური სიღრმე 15 მ. შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე 15 მ. სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) წარმოადგენს სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს/შენობა-ნაგებობებს (მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომებს), ასევე თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უძრავ ქონებაზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებს; ასევე, შპს „საქართველოს ფოსტის“ (ს/ნ 203836233) ჯიხურებს; გენერალური გეგმის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ტერიტორიულ–სტრუქტურული ზონები: გეგმარებითი კარკასი (გკ) – დედაქალაქის ცენტრალურ, შუალედურ და პერიფერიულ ზონებში, ქალაქის მატერიალური გარემოს ათვისების მაღალი ხარისხის, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების კონცენტრაციის, ტერიტორიების გამოყენების ინტენსივობის, არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი ანსამბლებისა და მოცულობითი აქცენტების, საზოგადოებრივი ცენტრების - აქტიური საცხოვრებელი და საზოგადოებრივი გარემოს არსებობის ნიშნით გამოყოფილი სტრუქტურული ელემენტი, რომელიც ყალიბდება საერთო საქალაქო მნიშვნელობის უწყვეტი და რეგულირებადი, აგრეთვე რაიონული მნიშვნელობის სატრანსპორტო - ფეხმავალი მაგისტრალებისა და ქუჩების გასწვრივ და რომელიც, როგორც წესი, მოიცავს ნაკვეთების პირველ რიგს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა - სამანქანო გზა. ნაკვეთის გარემო არსებული მდგომარეობით წარმოადგენს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანებას. დაინტერესებული პირი ითხოვს საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარებას კომერციული ობიექტის ფუნქციით, რაც ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარებისთვის მიზანშეწონილ ფუნქციურ ზონაში (სსზ-3)-ში და ასევე სზ-2 ში წარმოადგენს განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობას. ვინაიდან, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სამშენებლო განვითარებისას არც ერთი ზონის რეგლამენტი არ უნდა დაირღვეს, ხოლო საზოგადოებრივი-საქმიანი ზონის არეალი , რომლის სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3)-ის რეგულაციებით, ფართობის ნაწილში ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ პარამეტრს, საკითხი განიხილება ნაკვეთის განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის კუთხით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მიწის ნაკვეთები და შენობები-ნაგებობები, რომლებიც არ შეესაბამებიან განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებს წინა მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად და შესაბამისობის უზრუნველყოფა შეუძლებელია, წარმოადგენენ განპირობებულ (იძულებით) შეუსაბამო უძრავ ობიექტებს. იმავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამო სტატუსის მქონე უძრავი ობიექტებისათვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, რომელიც გაიცემა ამ თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

	იმავე განაშენინაების რეგულირების წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საგამონაკლისო წესს და მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ ამ წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცემა კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის იძულებით (განპირობებული) შეუსაბამო უძრავი ობიექტებისათვის ინდივიდუალური პარამეტრების დასადგენად.
დასკვნა :	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განპირობებული (იძულებით) შეუსაბამო უძრავი ობიექტებისთვის, განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პირობით, ხდება ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს ტერიტორიის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას, არ უნდა ლახავდეს სხვა მესაკუთრეთა ინტერესებს, და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არსებული განაშენიანების გეგმარებით, მოცულობით-სივრცით და ესთეტიკურ პარამეტრებს. ვინაიდან, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის გარემოს ქალაქგეგმარებითი ხასიათი წარმოადგენს ძირითადად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანებას, განაშენიანების პირველ ზოლში კი ფიქსირდება კომერციული დანიშნულების ფუნქციები, საპროექტო მიწის ნაკვეთის კომერციული ფუნქციით სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელია განხილულ იქნეს ტერიტორიის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობად, რომელიც არ შეეწინააღმდეგება არსებული განაშენიანების გეგმარებით, მოცულობით-სივრცით და ესთეტიკურ პარამეტრებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში, N81.21.04.401 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე კომერციული დანიშნულების შენობა-ნაგებობის განთავსებისთის, განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა. მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველივე სტადიაზე წარდგენილ იქნას პასუხიმგებელი პირის მიერ დამოწმებული მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა.

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი